

**39. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე, 2001 წლის 18 ივლისი.**

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება & nbs; რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შემოთვლას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის გამო და აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება \_ დადგენილ ვადებში არ დახურა გუდაუთის სამხედრო ბაზა.

საქართველოს პარლამენტი ... მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ეუთოს სტამბოლის ერთობლივი განცხადების ყველა მოთხოვნა.

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა საშიში პრეცედენტია და საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და მსოფლიო მართლწესრიგს.

1992-1994 წლებში აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნა ეუთომ შეაფასა როგორც ეთნიკური წმენდა, ხოლო ევროპარლამენტმა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან უვიზო რეჟიმის შემოღება \_ ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.

რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის გაჭიანურება საერთაშორისო ხელშეკრულების უხეში დარღვევა და აფხაზთა სეპარატისტული რეჟიმის აშკარა მხარდაჭერაა. ეს დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმულმა არამეგობრულმა ნაბიჯებმა, რაც გამოიხატა იმით, რომ მან საქართველოსთან შეთანხმებლად უვიზო რეჟიმი შემოიღო სეპარატისტული რეჟიმების კონტროლს დაქვემდებარებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ.

ესწრაფვის რა იმას, რომ ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების დახურვის ვადების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკება დასრულდეს დროულად ურთიერთმისაღები შეთანხმებით, და აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესებს არ შეესაბამება უცხო სახელმწიფოს ჯარის ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

\_ რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის შეგნებული შეფერხება შეფასდეს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, აფხაზთა სეპარატისტული რეჟიმის აშკარა მხარდაჭერა და 1992-1994 წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაციისა და ანექსიის დაკანონების მცდელობა;

\_ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართოს ეუთოს, მის წევრ ქვეყნებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოახდინონ შესაბამისი რეაგირება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების უხეში დარღვევის ფაქტზე;

\_ საქართველოს საგადასახადო შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროებმა უზრუნველყონ კანონმდებლობით დადგენილი წესით რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების კომუნალური და მიწის გადასახადების დავალიანებათა ოდენობის განსაზღვრა და ამოღება;

\_ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციასთან საქართველოდან 1991 წლის შემდეგ უკანონოდ გატანილი, სსრ კავშირის სამხედრო ქონებიდან საქართველოს კუთვნილი წილის კომპენსაციის თაობაზე;

\_ დაევალოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, მოამზადონ წინადადებები რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალისა და ეკოლოგიური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის მიერ სტამბოლის ერთობლივი განცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებების ბოლომდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი განი-

ხილავს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების რა-  
ტიფიცირების მიზანშეწონილობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანია**.

**2001 წლის 18 ივლისი.**

(გაზეთი ~აფხაზეთის ხმა~, # 29, 2001 წლის 20 ივლისი)